STRUCTURAL CODICOLOGICAL STUDY OF ONE GEORGIAN MANUSCRIPT PRESERVED AT K. KEKELIDZE NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS

კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერის (S-4999) არქეოგრაფიული ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა

SHORENA TAVADZE
PhD, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi, Merab Aleksidze str, N1/3, 3093, Georgia
+995 595 635544 tavadze@hotmail.com
ORCID ID: https://orcid.org/0000-0002-6216-9093

ABSTRACT. The formation of Georgian written culture dates back to the 5th century, as evidenced by early ecclesiastical manuscripts executed on parchment. Parchment was widely used as a writing material and was also locally produced, while its reusability is confirmed by Georgian palimpsests, whose undertexts date from the 5th to the 11th centuries. The long-standing predominance of parchment underscores the importance of its codicological and structural study in the context of manuscript conservation and restoration.
This paper examines Codex S-4999, preserved at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, one of the earliest copies of the "December Menaion" translated by Giorgi the Athonite. The manuscript, copied in the first quarter of the 12th century in Tao-Klarjeti, at the Khantsta monastery by the deacon Stephane, represents an important source for understanding cultural and historical processes of book production. The codex comprises 332 folios and is entirely palimpsestic; the undertexts date to the 10th–11th centuries and are presumed to contain homiletic and liturgical content.
The study reveals technological features of parchment preparation and reinforcement, including methods used in the Middle Ages to repair material damage. Observations indicate that the craftsmen possessed effective techniques for strengthening the material, although less attention was paid to visual aspects. The codex constitutes a significant source for codicological, historiographical, and conservation studies, while analysis of its material structure contributes to interdisciplinary research and supports the application of modern preservation methods.

Keywords: Manuscript, Archeography, Parchment, structure, conservation.

შორენა თავაძე
მეცნიერი თანამშრომელი, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, თბილისი, ალექსიძის 1/3, 0193
საქართველო, +995 595 635544
ORCID ID: https://orcid.org/0000-0002-6216-9093

აბსტრაქტი. ქართული წერილობითი კულტურის ჩამოყალიბება V საუკუნიდან იწყება, რასაც ადასტურებს ეტრატზე შესრულებული ადრეული სასულიერო ხელნაწერები. ეტრატი, როგორც საწერი მასალა, ფართოდ გამოიყენებოდა და ადგილობრივადაც აწარმოებდნენ, ხოლო ხელნაწერ კულტურაში მის დიდ მნიშვნელობას ადასტურებს ქართული პალიმფსესტური ნიმუშები, რომელთა ქვედა ფენები V–XI საუკუნეებით თარიღდება. ეტრატის ხანგრძლივი დომინაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის კოდიკოლოგიურ და სტრუქტურულ კვლევას ხელნაწერთა კონსერვაცია-რესტავრაციის კონტექსტში.
სტატიაში განხილულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოდექსი S-4999 - გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი „დეკემბრის თვენის" ერთ-ერთი ადრეული ნუსხა. ხელნაწერი, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთში, ხანძთის მონასტერში სტეფანე დიაკონის მიერაა გადაწერილი, წარმოადგენს მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პროცესების ამსახველ წყაროს. კოდექსი მოიცავს 332 ფურცელს და მთლიანად პალიმფსესტურია. ქვედა ფენის ტექსტები X–XI საუკუნეებით თარიღდება და ჰომილეტიკურ-ლიტურგიკულ შინაარსს შეიცავს.

კვლევა ავლენს ეტრატის დამუშავებისა და გამაგრების ტექნოლოგიურ თავისებურებებს, მათ შორის დაზიანებათა აღმოფხვრის შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ მეთოდებს. ხელნაწერზე დაკვირვება მიუთითებს, რომ ოსტატები ფლობდნენ მასალის გამაგრების ეფექტურ ტექნიკას, თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ვიზუალურ ასპექტებს. აღნიშნული კოდექსი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კოდიკოლოგიური, ისტორიოგრაფიული და განახლება-კონსერვაციის კვლევებისთვის, ხოლო მისი მასალათმცოდნეობითი ანალიზი ხელს უწყობს ხელნაწერის ინტერდისციპლინურ შესწავლასა და თანამედროვე მეთოდებით მის დაცვას.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი, არქეოგრაფია, ეტრატი, სტრუქტურა, კონსერვაცია.

შესავალი. ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში ხელი შეუწყო მწიგნობრობის განვითარებას. საქართველოს ფარგლებსა თუ საზღვარგარეთის სამწიგნობრო კერებში დიდი მონდომებით მიმდინარეობდა ხელნაწერი წიგნის შექმნის რთული პროცესი და „ჴელი მწიგნობრობისაჲს“ წარმომადგენლები ერთობლივი შრომით თარგმნიდნენ, წერდნენ, ხატავდნენ, მოსავდნენ და კაზმავდნენ ხელნაწერებს (ჯავახიშვილი, 1949:55-56; მესხია, 1949:60).

შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის შექმნა ერთმანეთზე დამოკიდებულ თანმიმდევრულ შრომით პროცესებს მოიცავს. ესენია: ეტრატის შექმნა, საწერი ფურცლის მომზადება, განკანონება, რვეულებად შეკვრა, გადაწერა, მოხატვა, აკინძვა, ყდაში ჩასმა (შემოსვა) და მოჭედვა. ამ საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ სამუშაოს ერთი ან რამდენიმე ადამიანი ასრულებდა. ხელნაწერი წიგნის შემქმნელნი განსწავლული ოსტატები იყვნენ და მომზადების მაღალი კულტურით გამოირჩეოდნენ. მათი საქმიანობა ცალკე ხელობად ითვლებოდა (მაჭავარიანი, 2012:155-174; მენაბდე, 1962:41).

ხელნაწერთა ინტერდისციპლინური, კომპლექსური, არქეოგრაფიული, სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური კვლევა საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ კონკრეტულ ეპოქაში ცალკეულ სამწიგნობრო კერაში წიგნის შემქმნელთა შემოქმედებითი ჯგუფის საქმიანობა, ასევე კულტურულ-ისტორიული პროცესი, რომლის საფუძველზეც ვითარდებოდა ძველი ქართული სამწიგნობრო ტრადიცია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული უნიკალური ხელნაწერების დიდი ნაწილი ეტრატზეა შესრულებული, რომელთა კოდიკოლოგიურ-სტრუქტურულ კვლევას, დაზიანების მიზეზების დადგენას, ადრეულ განახლებას, შესწავლასა და აღდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოში სხვა ქვეყნების მსგავსად საწერ მასალად ეტრატს იყენებდნენ. ცნობილია, რომ ეტრატის დასამზადებელ ნედლეულად თხის, ცხვრის ან ხბოს ტყავი გამოიყენებოდა. ეტრატი გამძლე საწერი საშუალებაა, რასაც ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ეტრატზე შესრულებული ხელნაწერთა რაოდენობა და მათი მდგომარეობის ხარისხი. გადაწერილი ხელნაწერებისთვის გამოყენებული ეტრატი მრავალგვარია და ეს ნათლად ჩანს ხელნაწერების ცალკეული ფურცლების შესწავლისას. აღსანიშნავია, რომ ერთ ხელნაწერში გამოყენებული მასალა და სტრუქტურა სხვადასხვაგვარია: სისქით, შეფერილობით, ზედაპირის ხაოიანობით, ელასტიურობით.

ხელნაწერი წიგნის შექმნასთან დაკავშირებით ცნობები გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში: „თიკნის უქნა ესე ეტრატი“ (K-261, XIII-XIV სს., 25v); „აქა ირმის ტყავი მომივიდა“ (Q-87, 1578-1605 წწ., 914v); „კარგო რო დაგიწერე, განს, კარგს ტყავებს გამოგიგზავნი ბატკნისა ან ხუთსა და ექვს“ (S-1309ბ, XIX ს., 7v). ძროხის ან სხვა ცხოველის შედარებით უხეშ და სქელ ტყავს იყენებდნენ ყდის შესამოსად: „კჳრიელ‹ისონ, სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა მესამედ წ[მი]დაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაითა სინა წ[მი]დასა ჴელითა იოვანე ფ[რია]დ ცოდ[ვი]ლისა, ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებ[უ]ლ[ო]ბისა ჩემისა…“ (Garitte, 1956; აღწერილობა სინური კოლექცია, 1979). ცნობილია, რომ XIV-XV საუკუნეებში სინას მთაზე დასახლებულმა ელისე ჩიდანისძემ და მისი ჯგუფის წევრებმა ხელი მიჰყვეს ქართულ ხელნაწერთა განახლებას (ჩიტუნაშვილი, 2019:378). XI საუკუნის პარაკლიტონის (შიფრი) გვიანდელი განმაახლებელი გაბრიელ ვარძელი მოგვითხრობს: „მესამედ შეიკაზმა წმიდაჲ ესე ბარაკლიტონი ჴელითა ყოველთა კაცთა უცოდვილესისა გაბრიელ ვარძელისაჲთა. დია ჰიცად

დაშლილი და დახეული...და ქაღალდითა ელია იღუაწა“. პარაკლიტონი შეიცავს ასევე მეცამეტე საუკუნის განმაახლებლის მახარებლის ანდერძსაც, რომელსაც უცდია ხელნაწერის განახლება „და ამის წიგნის ესრე მცირედ შეკაზმვისთჳს, შემიდევით მე, მახარებელს ფრიად ცოდვილს, შემინდევით. ერთობ დაშლილი იყო და ვერაჲ მოვგურე მეტი...“(195v) (აღწერილობა სინური კოლექცია, 1979:130).

ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ, თუ რა მძიმე ვითარებაში უხდებოდათ წიგნის ოსტატებს ამ მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ისინი ამ საქმეს: „ღმერთმან იცის, ვაჲმე და ვაჲმე ჭირნი უსახლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვასა არავის წაჰკიდებია ესევითარი, რამეთუ სოფლისა ღელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალი ყელამდისინ“ (სვინაქსარი, A-840, XI ს. 179r); „წ˜ა ესე სახარებანი ჟამთა ვითარებისაგან [თ]აგვ[ს] შე[ე]ჭამა და უხმა[რ] იყო, რადგა[ნ] ამთენი ჭირ[ნა]ხული ფუჭდებოდა, ვიგულსმოდგინე და განვაახლებინე მე, წინამძღვარ[მა] გერმანემ სულისა მეოხად ... (A-26, XVIII ს. გვ.3).

ხელნაწერების განახლებისას ხშირად განმაახლებლები, ხელოსნები სარესტავრაციო მასალად მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულ ხმარებიდან გამოსულ სხვადასხვაენოვან ხელნაწერის ფრაგმენტებს იყენებდნენ (ქაღალდი, ეტრატი), მათ შორის პალიფსესტებსაც. ძველი წიგნების გასაახლებლად ქართულ ხელნაწერებში ხშირად გამოყენებულია ასომთავრულით, ნუსხურითა და ზოგჯერ მხედულით ნაწერი ხელნაწერების ფრაგმენტები, გვხვდება სარესტავრაციო მასალად ბერძნული და არაბული ხელნაწერების გამოყენების შემთხვევებიც. დაზიანებული და ხმარებიდან გამოსული ხელნაწერების ფურცლები ხშირად ყდის საცავი ფურცლის ფუნქციასაც ასრულებდა.

შუა საუკუნეების ხელნაწერთა უდიდეს ნაწილს კოდექსის (წიგნის) ფორმა აქვს, თუმცა გვაქვს გრაგნილებიც, რომელთა სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური შესწავლა, მხატვრული გაფორმება, ასევე მნიშვნელოვანია ქართული სამწიგნობრო ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით (თავაძე, ჩხიკვაძე, შათირიშვილი, 2026).

ქართულ ხელნაწერებში ტექსტი ნაწერია ერთ ან ორ სვეტად. კოდექსები წარმოდგენილია შეკრული რვეულების სახით, რომლებიც შემდეგ ერთად იკინძება. ჩვეულებრივ ერთი რვეული 8 ფურცლისაგან შედგება, თუმცა გვაქვს ხელნაწერები, რომლებიც რვეულში ფურცელთა განსხვავებულ რაოდენობას გვიჩვენებს, რაც განპირობებულია იმით, რომ გადამწერს სურს, დაწყებული ტექსტი ერთ რვეულში დაამთავროს და მომდევნო თავი ახალი რვეულიდან დაიწყოს. ზოგჯერ კი რვეულში ფურცელთა განსხვავებულ რაოდენობას სხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. არის შემთხვევები, როცა ერთად აკინძული ხელნაწერი სინამდვილეში სხვადასხვა ხელნაწერების კომპილაციას წარმოადგენს და თითოეულ შემადგენელ ნაწილს რვეულში ფურცელთა საკუთარი რაოდენობა აქვს, ასევე როცა ფურცლები ამოხეული, ამოჭრილი, ამოვარდნილი და დაკარგულია.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია ხელნაწერის ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდი. დეტალური კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული აღწერილობის შედგენა, მასალის სტრუქტურული მახასიათებლებისა და მისი ადრეული განახლების ანალიზი, ხელნაწერთა მდგომარეობის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული კონსერვაციისთვის.

შედეგები და მსჯელობა. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერებს შორისაა XII საუკუნით დათარიღებული ეტრატზე შესრულებული გიორგი ათონელისეული რედაქციის დეკემბრის თვენის ერთ-ერთი ადრეული ნუსხა (S-4999) (S აღწერილობა, 1969:315-32).

გიორგი მთაწმინდლის დეკემბრის თვენის საგალობლების (S-4999, XII ს.) შემცველი ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტს წარმოადგენს და გადაწერილია XII საუკუნეში ტაო-კლარჯეთში, ხანძთის მონასტერში მოღვაწე სტეფანე დიაკონის მიერ, ხოლო დამკვეთია - ართვინის მახლობლად მდებარე სვეტის უდაბნოს, ანუ მონასტრის მოურავი ანტონი. კრებული სვეტის მონასტრის საკუთრება იყო. ხანძთელ გადამწერს წიგნის შექმნისათვის გამოუყენებია იმ პერიოდის საეკლესიო პრაქტიკიდან გამოსული იერუსალიმური ტრადიციის საგალობელთა

კრებული – იადგარი. ქვედა ფენა თარიღდება X საუკუნით. პალიმფსესტული ხელნაწერის ზედა ფენის ტექსტი შესწავლილი და ნაწილობრივ გამოაქვეყნებულია (შათირიშვილი, 2010:102-107).

ხელნაწერის მნიშვნელობიდან გამომდინარე დეტალურად აღვწერეთ მისი არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური სტრუქტურა: საერთო მდგომარეობა, ზომები, მხატვრული გაფორმება, განკანონება, პაგინაცია, ყდა, შევაფასეთ ადრეული განახლებისა და ამჟამინდელი დაცულობის ხარისხი, რაც დეტალურადაა აღწერილი სტატიაში.

❖ **ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა** - კოდექსი მთლიანად პალიმფსესტს წარმოადგენს. **ზედა ფენა** - თვენი (გიორგი მთაწმიდელის რედაქცია); **გადაწერის თარიღი**: XII საუკუნის პირველი მეოთხედი; **ფურცელთა რაოდენობა** - 332 ფ. (664 გვ.), შეიცავს 42 რვეულს, 43-ე რვეულისგან შემორჩენილია სამი ფურცელი; **ფურცლის ზომა** - 205X175 მმ[1]; **მასალა** - ეტრატი; **დამწერლობის ტიპი/დამწერლობა** - კალიგრაფიული ნუსხური; **მელანი** - ყავისფერი; **ხელნაწერის გადაწერის ადგილი** - ხანძთა; **გადამწერი:** სტეფანე დიაკონი; **სვეტების რაოდენობა** - ერთი; **სვეტის ზომა** - 105X65 მმ; **სვეტების დაშორება გვერდებიდან (ზომები სხვადასხვაა) - მარცხენა** - 15-20მმ, **მარჯვენა** - 35-40 მმ, **ზემოდან** - 15-20მმ, **ქვემოდან** - 35-40 მმ; **სტრიქონთა რაოდენობა (სხვადასხვა)** - 22-26; **პაგინაცია** - ხელნაწერზე შეიმჩნევა რამდენიმე: ა) თანადროული ბ) მოგვიანებით, გვერდობლივი; გ) ახალი, ფურცლობრივი; **დაუწერელი ფურცლები** - 264v, 265r, 266v, 267r, 272v, 273r, 320v, 321r; **ხელნაწერის მფლობელი** - ხელნაწერი გიორგი მელითაურის საკუთრება ყოფილა: გვ. 1v, 72r, 144r, 206r, 248r, 298r, 664v-ზე და ყდის ქვედა ფრთაზე (გადაკრულ ქსოვილზე) დასმულია ბეჭედი წარწერით: „Георгий Онисимоаич Мелитаури“. ამჟამად, კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი.

ქვედა ფენა - როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტის წარმოადგენს. წიგნის ხელოვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე, კერძოდ V-VII საუკუნეებში, ხელნაწერები ეტრატზე ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი (თავაძე, მეგენეიშვილი, 2023). სწორედ ეტრატზე წერის დროს გაჩნდა V-VIII საუკუნეებით დათარიღებული, ასომთავრულით შესრულებული უძველესი ქართული ხელნაწერების პალიმფსესტური ფურცლები, რომელსაც ქართული დამწერლობის კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (დანელია, სარჯველაძე, 1997: 264).

საკვლევი ხელნაწერის ქვედა ფენის ზოგიერთი ფურცელი დიდი ფორმატის იყო, ამას ადასტურებს რამდენიმე გვერდის (290r-305v) მთელ სიგრძეზე შემორჩენილი ვერტიკალური ნაკეცი. ძველი აკინძვის დროს ყუაში ჩანაკერი მხარე ახლა მარჯვნივაა მოქცეული; პირვანდელი ტექსტი ზოგან შებრუნებულია, ზოგან კი უკუღმაა. ხელნაწერის (XII ს.) შესაქმნელად გამოყენებულია X საუკუნის, სამი სხვადასხვა ხელნაწერის ფურცელი: იერუსალიმური ლექციონარი, საგალობელთა კრებული, საგალობელთა კრებული-იადგარი. რომელთა არქეოგრაფიული სტრუქტურა შემდეგია:

1. იერუსალიმური ლექციონარი დაცულია ხელნაწერის შემდეგ გვერდებზე - 1-189, 306-332 (316 ფ); **თარიღი**: X ს.; **ზომა** (აღდგენილი): 250X190; **მელანი:** ყავისფერი, წითელი; **დამწერლობა**: ნუსხური; **მიმართულება ზედა ტექსტთა:** 180˚; **სვეტი:** 1; სვეტის სიგანე: 120; სტრიქონი: 22/22; **სტრიქონთა შორის მანძილი:** 8; **აშიები**: ზედა: 25, ქვედა: 35; მარჯვენა 45; მარცხენა: 40; **პალეოგრაფიული დახასიათება** - ტექსტი ნაწერია ვეტრიკალური, მსხვილად ნაწერი ნუსხური გრაფემებით; **საზედაო გრაფემები:** გადის სვეტიდან და ორ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს; **განკვეთილობის და სასვენი ნიშნები** :, ·:; **ქარაგმა**: ხშირი.

2. საგალობელთა კრებული; (2017:234-236): 290-298, 300-303 (13 ფ); **თარიღი**: X ს.; **ზომა (აღდგენილი): მახასიათებლები**: -; **კატეგორია**: III; **მიმართულება ზედა ტექსტთა**: 90˚; **სვეტი**: 1; **სვეტის სიგანე**: 130; **სტრიქონი**: 20; **(მოჭრილი) სტრიქონთა შორის მანძილი:** 8/10; **არშიები:** ზედა: მოჭრილი, ქვედა: 25; მარჯვენა 25; მარცხენა: 20; **პალეოგრაფიული დახასიათება**: **საერთო შეხედულება ტექსტზე:** მსხვილად ნაწერი ნუსხური გრაფემები; **საზედაო გრაფემები:** გადის

[1] თანამედროვე სტანდარტებით ხელნაწერთმცოდნეობაში ფურცელი, სვეტი, აშია, ყდა და ა.შ. იზომება მილიმეტრებით.

სვეტიდან და ორ სტრიქონს შორის მანზილს მოიცავს; **განკვეთილობის და სასვენი ნიშნები:** ., : **ქარაგმა**: ხშირი.

3. საგალობელთა კრებული-იადგარი; (2017:234-236): 299, 304, 305 (3ფ.); **თარიღი**: X ს.; **ზომა (აღდგენილი)**: 400X200; **მელანი:** ყავისფერი; **დამწერლობა**: ნუსხური; **მიმართულება ზედა ტექსტთა:** 90˚; **სვეტი:** 1; სვეტის სიგანე: 130; სტრიქონი: 21; **(მოჭრილი) სტრიქონთა შორის მანძილი**: 7/8; **არშიები:** ზედა: მოჭრილი; ქვედა: მოჭრილი; მარჯვენა 20; მარცხენა: 20. **პალეოგრაფიული დახასიათება: საერთო შეხედულება ტექსტზე**: მარჯვნივ დახრილი ნუსხური, დაგრძელებული ბუნებით; **საზედაო გრაფემები:** არ ჩანს; **განკვეთილობის და სასვენი ნიშნები:** :, >; **ქარაგმა:** ხშირი.

ხელნაწერზე შეიმჩნევა სხვადასხვა დროს შესრულებული ნუსხური და მხედრული ანდერძ-მინაწერები (S ხელნაწერთა აღწერილობა, 1969: 315-320):

✓ **მთარგმნელის, გიორგი მთაწმიდელის:** „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ჴელითა გლახაკისა გიორგი თარგმნისა ხუცეს-მონაზონისა, ფრიად ცოდვილისაჲთა, აურაცხელითა ჭირითა და შრომითა და რუდუნებითა.....“ (331v-332r).

✓ **გადამწერის**: „დაიწერა ესე თუე დეკენბერი უდაბნოსა ხარძთისა (!), ჴელითა სტეფანე დიაკონისაჲთა უდაბნოჲსა სუეტისათჳს, საფასოჲთა მათითა, ღმერთმან შეუნდვნენ, რაჲცა ვის ჭირი უნახავს ამას წიგნსა ზედა; პირუელ ყოველთასა მოურავს სუეტისასა ანტონის შეუნდვენ ღმერთმან. და ყოველნი ძმანი დაიცვენინ ქრისტემან, და უკეთუ იპოოს რაჲ სანდოჲ ამას ჩნ˜სა ნაშრომსა, ჩუენთჳსცა ლოცვა ყავთ ღუთისათაჲ და უცბად ჩხრეკისათჳს შემინდვეთ. გიორგის ხუცესსა შეუნდვენ ღმერთმან, დიად შემწე გუეყო“ (332v).

✓ **მინაწერი** მხედრულით: „მე, დიდის ორბელის შვილმან და მართლმსაჯულმან მდივანბეგმან პატრონმან ვახტანგ და თანამემცხედრემან ჩემმან არაგვის ერისთვის ზაალის ასულმან პატრონმან თა[მ]არ ვიყიდეთ წმიდა ესე წიგნი დეკემბრის თვე ერთი, მარხვანი ერთი, სვინაქსარი ერთი, სამოციქულო ერთი, პარაკლიტონი ერთი, ძველი პარაკლიტონი ერთი, ნნ˜ბრის თვე და შემოგწირე შენ, ჩვენს სა[...] შესავედრებელსა ჩვენგან აშენებულს ტანძიას წმიდას ნიკოლაოზის ...“ (1v).

❖ **მხატვრული გაფორმება** - როცა გადამწერი განსაზღვრავდა ხელნაწერის ფორმატს, აწარმოებდა ფურცლების განკანონებას, ანაწილებდა ტექსტს ფურცელზე, ითვალისწინებდა დაწერილი სვეტის სიგანეს და მის გარშემო აშიებს, ამით აყალიბებდა ცალკეული გვერდის მხატვრულ კომპოზიციას. ხელნაწერებში ხშირად გამოიყენებოდა წითელი ფერის მელანი ე.წ. - სინგური, რომელიც ერთგვარი ორიენტირის როლს ასრულებდა წიგნის ფურცლების დეკორატიულ კომპოზიციაში. პრაქტიკული დანიშნულების ხელნაწერებში სინგური უხვად იყო გამოყენებული ორნამენტულ შემკულობასა თუ მინიატურულ მხატვრობაში (მაჭავარიანი 2008: 108).

აღნიშნული ხელნაწერი მხატვრული გაფორმებით, ორნამენტული შემკულობებითა და მინიატურებით არ გამოირჩევა. მის შემკულობას წარმოადგენს ტექსტის მელნით და სინგურით შესრულებული საზედაო ასოები, რომელთაგან ზოგიერთი ჩამოგრძელებულია მომდევნო სტრიქონამდე. საზედაო ასოები ხშირ შემთხვევაში გაფორმებულია სხვადასხვა სახის სტილიზებული ორნამენტებით. ზოგჯერ მუხლი იწყებოდა აბზაცით.ა სევე ზოგიერთ ადგილას გადამწერს საზედაო ასოების გასაფორმებლად წერტილები ან დიდი ზომის საზედაო ასოში ჩაწერილია პატარა ზომის გრაფემა გამოუყენებია (2r, 3r-v, 7v, 21r, 23r და სხვ.) (ჭიჭინაძე, თავაძე, 2004).

ხელნაწერის ტექსტში ამა თუ იმ საკითხავის ან თავის გამოსაყოფად ხშირად გვხვდება სხვადასხვა ნიშანი, რომელიც ტექსტის მონიშვნის გარდა, მხატვრული გაფორმების ფუნქციასაც ასრულებს: ჰორიზონტალურად დასმული სამწერტილი (∴); სასვენ ნიშნად გამოყენებულია ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი (ქაჯაია, 2018).

განკანონება - როგორც ცნობილია, ხელნაწერებში განკანონება სრულდებოდა თანაბარი დაშორებით. დახაზვა სიმეტრიის დაცვას უწყობდა ხელს და ხელნაწერი გვერდის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებს აწესრიგებდა. გადამწერი გვერდების განკანონების დროს იცავდა სტრიქონებს შორის არეს, წერდა კალიგრაფიულად, ტექსტის მელნით ან სინგურით, რითაც

ქმნიდა გვერდის დეკორატიული მორთულობის ელემენტს. განკანონების თავისებურებები დეტალურად აქვთ შესწავლილი ფრანგ მეცნიერებს სოტელსა და ლეროის, რომლებმაც ხელნაწერთა თავისებურებების გათვალისწინებით შექმნეს განკანონების სქემა-ჯგუფები და თითოეულ მათგანს მიანიჭეს უნივერსალური კოდი. სოტელისა და ლეროის სისტემით S-4999 მსგავსს ხელნაწერთა კოდია - P200D1 (Sautel-Leroy, 1995; ქართული პალიმფსესტები, 2017:790).

ამ ხელნაწერში ზედა ფენის ტექსტის დასაწერად მკვეთრადაა შესრულებული განკანონების ხაზები, ამისთვის ფურცლის კიდეებზე სიმეტრიის დასაცავად და ხაზების სწორად გასავლებად/დახაზვისთვის შეიმჩნევა ნახვრეტები, მიუხედავად ამისა, ხაზები არც თუ ისე სწორადაა გავლებული.

❖ **პაგინაცია** - საკვლევ ხელნაწერზე შეიმჩნევა რამდენიმე პაგინაცია: 1. გადამწერის მიერ დასმული თანადროული, ასომთავრულით შესრულებული რვეულებრივი პაგინაცია (1r-8v; ყოველი რვეულის პირველი ფურცლის r-ზე ზედა მხარეს შუაში არის რვეულის დასაწყისი და მერვე ფურცელის v-ზე ქვევით შუაში, არის რვეულის დასასრული); 2. საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში გადატანისას პირველადი აღწერილობის დროს შესრულებული გვერდობლივი, არაბული ციფრებით, ყავისფერი მელნით, ზედა მარჯვენა კუთხეში. 3. გვიანდელი, ხელნაწერის აღწერილობის შედგენის დროს ფურცლობრივი, არაბული ციფრებით, ფანქრით შესრულებული შუაში, ფურცლის ქვედა ნაწილში.

❖ **ყდა** - თითოეული კოდექსი გადაწერისთანავე იკვრებოდა რვეულებად, იკინძებოდა და იმოსებოდა ყდით, რაზედაც მეტყველებს ყოველი ეგზემპლარის ყუაზე შემორჩენილი მეორადი აკინძვის - „გრეკაჟისა“ და „ჯაჭვური“ შეკერვის - კვალი. იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით სარგებლობდნენ ამა თუ იმ წიგნით, ყდის ხელახალი წარმოების პროცესი ზოგჯერ რამდენჯერმეც კი მეორდებოდა (კარანაძე, 2002).

ადრეული პერიოდის ხელნაწერებს არ შემორჩა თავდაპირველი ყდები არა მხოლოდ მათი ხშირი გამოყენებისა და გადაადგილების, არამედ აკინძვის ტექნიკის გამოც. აკინძული წიგნი ხშირად ირღვეოდა, იშლებოდა, ყდა სცილდებოდა წიგნის ბლოკს. მოგვიანებით, ხელნაწერს ხელახლა განაახლებდნენ, კინძავდნენ და მოსავდნენ ახალი ყდით. ინფორმაცია დაზიანებული ხელნაწერი წიგნების განახლების სამუშაოებზე, ხშირად აღნიშნულია ხელნაწერზე დართულ ანდერძ-მინაწერებში (გაბიძაშვილი, 2018:223).

შუა საუკუნეებში (IX-XV საუკუნეებში) გადაწერილი ხელნაწერების ხელახალი შეკვრისას, რომლებსაც გადაწერის თანადროული ყდები არ შემორჩათ, ყდებზე გვხვდება ხელნაწერის შეკაზმვის ადრეული ნიშნები, რაც იმით აიხსნება, რომ ხელნაწერი წიგნის ყდები დროთა განმავლობაში, მართალია, განიცდიდა ევოლუციას, მაგრამ ტექნიკა და იარაღები უცვლელი რჩებოდა. ჩვენამდე მოღწეული თითოეული ყდის, ყოველი დეტალისა თუ ორნამენტული ფრაგმენტის, ასევე ნუსხათა ანდერძ-მინაწერებში დაცული მნიშვნელოვანი ცნობების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ყდის ისტორიის ქრონოლოგიური ეტაპების დადგენა: ადრეული ეტაპი (IX-XVI საუკუნეები), გარდამავალი (XVII საუკუნე) და გვიანდელი (XVIII-XIX საუკუნეები). თითოეულ ეტაპს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები (ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა, 2025:181; კარანაძე, 2002:28).

XII ს. ხელნაწერს (S-4999) თანადროული ყდა არ შემორჩენია. ყდა, რომელიც გააჩნია ხელნაწერს გაკეთებული უნდა იყოს ვახტანგ ორბელისშვილისა და მისი მეუღლის, არაგვის ერისთავის ასულის თამარის დაკვეთით, რომლებმაც 1682 წ. ხელნაწერი შეიძინეს და სხვა წიგნებთან ერთად შესწირეს ტანძიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას.

ყდა (ტყავი, ფიცარი) ამჟამად ძლიერ დაზიანებული, შემოცვეთილი და ნაკლულია, ზედა ფრთა ამომწვარია ოვალურად. ხელნაწერზე შემორჩენილია მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ამოუტვიფრავი ხის ყდა. ხის დაფები შედარებით თხელია (მხედველობაში გვაქვს XII საუკუნის ნიმუში), სწორად მოთლილია, ემთხვევა წიგნის/ეტრატის ფურცლების ჩამონაჭერს. ძლიერ დაზიანებულია: დამტვრეული, ტყავი ამომწვვარი, ახეული; ზომა: 215X176; ხის დაფების სისქე 5; გატეხილ ხის დაფას იჭერს გადაკეცილი ტყავი და ხის დაფაზე შიდა მხარეს დაკრული ვარდისფერი თხელი ქსოვილი; ხის დაფებზე გაკეთებულია სამი ნახვრეტი. გლუვი ზედაპირის შესაქმნელად ჰორიზონტალური ღარები არ გვხვდება, რის გამოც შიდა მხრიდან თოკები

რელიეფურია; კოდექსის ყუა მომრგვალებულია, მორღვეული და დაზიანებულია. ხელნაწერის აკინძვისას გამოყენებულია "გრეკაჟის" ტექნიკა. ყუაზე ასევე შეიმჩნევა პირველადი და ცენტრალურ ნაწილში „ჯაჭვური" აკინძვის კვალი. კაპტალი[2] ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ხელნაწერს უნდა ჰქონოდა ორი შესაკრავი, რასაც ადასტურებს შემორჩენილი ხის, სოლის ჩამოსაცმელები. წიგნი იკვრებოდა ტყავის თასმებით (ნახვრეტები გაკეთებულია როგორც ზედა, ისე ქვედა ფრთაზე); ყდა, ყველა ნიშნის მიხედვით XVI ს. თარიღდება (კარანაძე, 2002:28).

❖ **ადრეული განახლება** - ხელნაწერზე აღენიშნება განახლების (ფურცლების გამაგრების, აკინძვის) ორი კვალი: 1. ერთი ადრეული, სავარაუდოდ, გვიანი შუასაუკუნეების; 2. XVI საუკუნეში ხელახალი აკინძვისა და ახალი ყდით შემოსვისას. სავარაუდოდ, ხელნაწერი ხშირი გამოყენების გამო დაშლილა და მოგვიანებით აუკინძავთ ძაფით. ხელნაწერის ფურცლების კონსერვაციისთვის გამოყენებულია ეტრატი, რომლითაც ყუა გაუმაგრებიათ.

❖ **აკინძვა** - ხელნაწერის დაშლის მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო: ხელნაწერის შექმნის დროს დაშვებული შეცდმოები, ყდის ტყავის და ეტრატის დაბალი ხარისხი, ხელნაწერის ხშირი გამოყენება, ან თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის მოშლა, რომელიც შემდგომ გამოიწვევდა მთლიანად ხელნაწერის მორღვევასა და ბოლოს დაშლას. სარესტავრაციო პრაქტიკიდან გამომდიარე, თითქმის ყველა ხელნაწერის ყდის შესაკრავი დაკარგულია, რაც იწვევს ხელნაწერის ბლოკის მორღვევას, შესაბამისად, აკინძული რვეულების დაშლას, დეფორმაციასა და დახევას. შესაკრავების საშუალებით განსაკუთრებით ეტრატის ხელნაწერებია დაცული დამატებითი დეფორმაციისაგან. თითქმის ყველა შემთხვევაში ეტრატის ხელნაწერის ყდებს უკეთებდნენ ტყავის შესაკრავ თასმებს.

ხელნაწერის ბლოკის ვიზუალური დათვალიერებითა და ყუაში ამოჭრილი რომბის ფორმებიდან შესაძლოა ვივარაუდოთ, აღნიშნული ერთეული (S-4999) აკინძული იყო ჯაჭვური პრინციპით, რაც დამახასიათებელი იყო ეტრატის ხელნაწერებისთვის. ფურცლის ყუაში შეიმჩნევა 5 რომბისებური ჭრილი, რომელიც წინასწარ მზადდებოდა „მკაზმველის" ანუ მკინძავის მიერ, რაც ხელნაწერი წიგნის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (კარანაძე 2002:17). არქეოგრაფიული აღწერილობისას დადგინდა, რომ XVI საუკუნეში ხელახალი აკინძვისას ხელნაწერი აიკინძა სამ თასმაზე და შეიმოსა ახალი ყდით.

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ფორზაცები[3], რომლებიც შედარებით ახალია. ყდაში ჩამაგრებული ძაფები, ნაკერები და ჭრილები შესაძლებელია ხელნაწერის თანადროულიც იყო, ხოლო ფორზაცი და კაპტალი მიუთითებდეს გვიანდელ აკინძვაზე. აკინძვის ტექნიკისა და ძაფებზე დაკვირვებით შესაძლებელი იქნება განვასხვავოთ თანადროული და წიგნის ბლოკის შესაკვრელად გვიან გამოყენებული ძაფები და ტექნიკა.

მსჯელობა. ხელნაწერის არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური სტრუქტურის შესწავლა, კვლევა საფუძველია პრევენციული კონსერვაციისა და მისი დაცულობისათვის. იმას, რასაც ჩვენ რესტავრაცია-კონსერვაციას ვუწოდებთ, X-XVIII სს. წერილობით ძეგლებში შემორჩენილი ცნობების მიხედვით დაშლილი, დაძველებული ხელნაწერების აღდგენა, განახლება, შეკაზმვა ეწოდებოდა (A-198, 1696 წ., 149v; A-493ბ, XIVს., 16v და სხვ.).

ხელნაწერი წიგნის დაზიანების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: მექანიკური, მისი დამუშავების დროს მიღებული; შენახვის არასწორი გარემოპირობები და ბუნებრივი ფაქტორები (დაცვა-შენახვის ადგილი, ტენიანობა); შეგნებულად განხორციელებული აგრესიული ქმედება (პირვანდელი ნაწერის გადაფხეკა-გადარეცხვა, ან გაცხოველება, ფურცელთა დაჭრა და სხვა ზომის მორგება, ძარცვა). ეტრატი ზიანდებოდა, როგორც ტყავის საწერ მასალად მომზადების, ასევე შემდგომ, მასზე ტექსტის დაწერისას. სხვადასხვა სახის დაზიანების გაჩენის კვალდაკვალ, ეპოქის შესაბამისად, ჩნდება მისი განახლებისა და პრევენციის

[2] კაპტალი - ფერადი ქსოვილის ან ზონარის ნაჭერი, რომელიც მაგრდება წიგნის ყუის ზედა და ქვედა კიდეებზე და უზრუნველყოფს წიგნის ბლოკის სტრუქტურულ სიმაგრეს.

[3] ფორზაცი (გერმ. Vorsats) — მკვრივი ქაღალდის ორმაგი ფურცლები წიგნის ბლოკსა და ყდას შორის. ფორზაცი ბლოკს აერთებს ყდასთან და წიგნის განაპირა გვერდებს იცავს. იგი წიგნის გაფორმების ელემენტია.

მეთოდები. უნდა აღინიშნოს, რომ განახლების ყველაზე ადრეულ კვალს ეტრატზე შესრულებულ ხელნაწერებში ვხვდებით.

ზოგიერთ ნაკლულ ხელნაწერს ზოგჯერ სხვა საუკუნეში შექმნილი ხელნაწერით ავსებდნენ, რადგან საწერი მასალა, განსაკუთრებით ეტრატი, ძვირადღირებული იყო და გადამწერები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ უკვე გადაწერილი და შემდგომ გადარეცხილი ფურცლები.

ეტრატის დასამუშავებლად იყენებდნენ სხვადასხვა იარაღს ე.წ. „ვარაჩოსა“ და „დემური“-ს. იარაღებით ბეწვი ისე უნდა მოეშორებინათ, რომ მისი არსებობის კვალი (ბეწვის მიმართულება) არ უნდა ყოფილიყო შესამჩნევი, ეს განაპირობებდა მზა ეტრატის ხარისხს. ეტრატის ზედაპირი უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი, გლუვი და სუფთა (ჟღენტი, დარჯანია, 2015:463-480).

S-4999-ს აღენიშნება რესტავრაციის (შეკეთების, ფურცლის გამაგრების) თანადროული კვალი. ვიზუალური დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ეტრატი ბასრი იარაღით საწერ მასალად დამუშავების დროს უნდა დაზიანებულიყო და შემდეგ ჩახეული ადგილები გაემაგრებინათ.

ხელნაწერის რვეულებში სქელი და ნაკლებ მოქნილი ეტრატია გამოყენებული. ეტრატის ფურცლების განკანონება შესრულებულია ხორცის მხრიდან. განკანონისთვის კიდეებზე გაკეთებული ნახვრეტები არ შეიმჩნევა ყველა ფურცელზე მისი ჩამოჭრის გამო. როგორც ცნობილია, გვიან განახლებული ხელნაწერების დაზიანებულ ადგილებს აცილებდნენ და აჭრიდნენ, ამიტომ, აღნიშნული კოდექსის ტექსტის გარშემო ზომები სხვადასხვაა.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოხმარებამ გამოიწვია ხელნაწერი ფურცლების სხვადასხვა მექანიკური დაზიანება. ხელნაწერში უფრო მეტად დაზიანებული დასაწყისი და ბოლო ფურცლები, ნაკლული და ჩახეული ადგილები, გაცვეთილი კიდეები, ხოლო ხელნაწერის კორპუსის შუა ნაწილი შედარებით კარგადაა შემონახული, მცირე დაზიანებებით.

დამუშავებული ეტრატი საკმაოდ გამძლე საწერი მასალი იყო სხვა საწერ მასალასთან შედარებით, თუმცა საუკუნეების მანძილზე არასახარბიელო პირობები მის დაზიანებას იწვევდა. ეტრატი საკმაოდ მგრძნობიარეა გარემო პირობებისადმი, ადვილად იღებს ტენს ნესტიან გარემოში და ასევე ადვილად კარგავს ქსოვილში არსებულ სითხეს მაღალი ტემპერატურის დროს. ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს შეუქცევადი დეფორმაცია და კოლაგენური სისტემის სტრუქტურის დაზიანება. ამ და სხვა მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეტრატის დამზადებისათვის ტყავის დამუშავების თითოეული დეტალის ცოდნას. ადრეულ პერიოდში ხელნაწერების მოხვედრამ მაღალ ტენიანობასა და წყლიან გარემოში გამოიწვია ეტრატის ფურცლების მოჭიმულობა, დეფორმაცია, ფორიანობის შემცირება, ელასტიურობის დაკარგვა და სხვადასხვა შეფერილობის ლაქები (პიგმენტაცია). ნესტისგან კიდეები შემოცვეთილი და დალაქავებულია (Fuchs, 1991, 2001; Giovanini, 2010).

წიგნის მთლიანი კორპუსი ქვედა აშიაზე წყლით ან მაღალი ტემპერატურითა და ტენიანობით გამოწვეულ დავიწროება-დატალღვის კვალს ავლენს. ეს პროცესი ფურცლების დეფორმაციას იწვევს. არასახარბიელო პირობების გამო ხელნაწერზე შეიმჩნევა სინესტის ლაქები. წყალმა, მაღალმა ატმოსფერულმა ტენიანობამ დააზიანა ფურცლების კიდეები და ყავისფრი ლაქების სახით გამოისახა ფურცლების ზედაპირზე.

ხელნაწერის S-4999 ფურცელები არ გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და კარგი დამუშავებით, ზოგიერთი ფურცლის ზედაპირზე შეიმჩნევა ბეწვის მიმართულება წერტილების სახით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტყავი მუქი შეფერილობის ბეწვით იყო დაფარული, რაც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, რომელი ცხოველის ტყავია გამოყენებული საწერ მასალად. ბეწვის მიმართულება შეიმჩნევა: ფფ. 19-20, 22, 22, 26, 28, 37, 39, 45, 50, 51, 53, 74, 76, 91, 106, 110, 111, 124, 131, 287, 144, 146, 153, 156, 162, 179, 186, 196, 201, 202, 204, 209, 223, 224, 248, 250, 282, 292, 295, 298, 302, 309, 314 და სხვ.

ხელნაწერის ფურცლებზე გვხვდება სხვადასხვა ზომის მრგვალი ან ოვალური ფორმის ბუნებრივი ხვრელები. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ხვრელები ცხოველის ფეხების ადგილებია. თუმცა ამ ფაქტს გამორიცხავს უშუალოდ ხვრელის დიამეტრი და მისი მდებარეობა. ხშირ

შემთხვევაში, ასეთი დეფექტი, ფურცლის შუაში მდებარეობს. რაც შეეხება დაზიანების გამომწვევ მიზეზს, სავსებით შესაძლებელია ეტრატის ბასრი დანით დამუშავების დროს, შემთხვევით გაჭრილი ან დერმის გაჭიმვის პროცესში წარმოქმნილი სიცარიელე იყოს, რომელიც დერმის გაჭიმვისას გაფართოვდა და ოვალური, ან მრგვალი ფორმა მიიღო. თუმცა სხვადასხვა ზომის ხვრელები ხელშეუხებლად რჩება ფურცელზე და ეს ინფორმაცია ინახება რესტავრაციის შემდეგაც. ეტრატის ნაკლებობის, სიმცირისა და მისი სიძვირის გამო ამ ხელნაწერის ფურცლებად გამოყენებულია უკიდურესი კიდეები (ფფ. 52, 106, 147, 11, 21, 13, 54, 65, 76, 80, 105,107, 115, 137, 147, 179, 180, 188, 213, 219, 221, 261), ფურცლებზე ასევე შეიმჩნევა ტყავის არასწორად გაჭიმვის დროს მიღებული ხარვეზები (ოვალური ხვრელი, ჭრილი) (ფფ. 115, 117, 242). 278, 279, 281, 290, 298, 299, 307, 308, 309, 312, 318, 224; 156-ე ფურცელზე შეიმჩნევა ძველი ტექსტის გადაფხეკის დროს მიღებული დაზიანებები, რომელზეც ზედა ფენის ტექსტია გადაწერილი.

ხელნაწერზე S-4999 შეინიშნება თანადროული, ადგილების გამაგრების, ძაფით გაკერვის კვალი. ტყავის დამუშავების დროს მიღებული დაზიანების და დეფექტური ადგილების გამაგრება ხდებოდა ძაფის ან ეტრატის გამოყენებით, რაც ხელნაწერთა დაზიანებების გამაგრების ერთ-ერთი დამახასიათებელი მეთოდი იყო.

როგორც წესი, დაზიანებულ ეტრატ ტექსტის დაწერამდე ამაგრებდნენ. ხშირ შემთხვევაში გაჭრილ ადგილს ბამბის ძაფით ან ეტრატით ამოკერავდნენ. ეტრატის ხელნაწერებში ხშირად შეიმჩნევა ნაკერები, რომლებიც დამუშავების დრო წარმოქმნილი ხარვეზის გასამაგრებლად მეტყავეს გაუკეთებია. მსგავსი სახის დაზიანებას ვხვდებით S-4999 ხელნაწერის მრავალ ფურცლებზე. ზოგიერთ ფურცელზე რამდენიმე გაკერილი ადგილია: ფფ.11, 21, 28, 50, 53, 54, 60, 61, 74, 85, 96, 106, 107, 115, 145, 186, 189, 204, 209, 223, 234, 308, 325.

ფურცლისა და ყუის დაზიანების გამო, ჩახეული ეტრატი გაუკერიათ ამობლანდვის პრინციპით ეტრატითვე: ფფ. 180, 202, 252, 270, 313, 297, 305, 314.

მოგვიანებით, ხელნაწერის ხშირმა გამოყენებამ შემდგომი დაზიანებების პროვოცირება გამოიწვია: ფფ.15, 250, 296, 308 (კიდეები გახეული), ფ.314 ზედა მხარეს მოხეული ადგილი ჩაჭრილი და ჩახეულია; ფ.318 ბუნებრივი, ოვალური ჭრილი დაზიანებულია.

ფურცლებზე შეიმჩნევა: ჭუჭყი, სანთლის ნაღვენთები, ჭვარტლისა და ნესტის ლაქები, კიდეებზე კი მოთეთრო ფერის პიგმენტაცია: ფფ. 19, 20, 145, 146, 26, 29, 37, 80, 85, 107, 153, 162, 171, 213; ლაქები: ფფ. 23, 26, 27, 30, 35,40, 42, 54.

ფ. 290-დან 305 ფურცლამდე ქვედა მხარეს, ჰორიზნტალურად შეიმჩნევა ადრეული ხელნაწერის ფურცლების გადაკეცვისა და აკინძვისთვის გაკეთებული რომბისებური პატარა ჭრილები. ფ. 139r (ფანქრით) (გვ.277) ფურცელზე ტექსტი შებრუნებულადაა ნაწერი, ეს, სავარაუდოდ, განახლებისას და ხელმეორედ აკინძვისას დაშვებული მექანიკური შეცდომაა.

ამგვარი ხელნაწერის კონსერვაცია-რესტავრაცია დიდ დაკვირვებას მოითხოვს, ვინაიდან ერთად თავმოყრილი შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სისქისა და ფაქტურის ფურცლები, განსხვავებული მელან-საღებავებით. ასეთ შემთხვევაში შესარჩევია დარბილების რეჟიმი, გასწორება და კინძვის მეთოდი.

დასკვნა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეტრატის მიღების სხვადასხვა ხერხი არსებობდა. მიუხედავად ამისა, სხვა საწერ მასალასთან შედარებით, იგი მაინც უფრო გამძლე იყო. კომპლექსური შესწავლა იძლევა იშვიათ შესაძლებლობას, დავინახოთ და გავარკვიოთ ხელნაწერის შექმნის ადრეული მეთოდები, ისტორია და ტექნოლოგია. ხელნაწერი წიგნის შექმნის მეთოდი და მასალა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, პირვანდელი სახითაა მოღწეული თუ გვიანდელი განახლებულია, რა შეიცვალა შექმნიდან დღემდე, როგორი ფორმის და სტილის კაპტალია გამოყენებული და ა.შ. ხელნაწერი წიგნის შექმნის ტექნოლოგია უძველეს დროში შემუშავდა და საუკუნეების განმავლობაში ეპოქალურად ვითარდებოდა და იხვეწებოდა. ქართული უძველესი და უნიკალური ხელნაწერები მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს წიგნის შექმნის ტექნოლოგიის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

X-XIII სს. ხელნაწერების სტრუქტურისა და სისტემის ანალიზმა და კოდიკოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა ხელნაწერებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ხელნაწერებში სხვადასხვა ტიპის დაზიანებები შეინიშნება. ყველაზე მეტად წიგნის საწყისი და ბოლო

ფურცლებია დაზიანებული. ხელნაწერის კორპუსის შედარებით კარგად შემონახულ შუა ნაწილში ეტრატი მოქნილი და საკმაოდ გლუვია. XVII-XVIII სს. რესტავრაციის კვალი შეიმჩნევა მრავალ ნიმუშზე, შესაძლოა უფრო ადრეც ხდებოდა დაზიანებული ხელნაწერების განახლება-შეკეთება, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია ანდერძ-მინაწერებით არ დასტურდება.

S-4999 ხელნაწერის არქეოგრაფიულმა აღწერილობამ და მასალის სტრუქტურის კვლევამ დაგვანახა სხვადასხვა ეპოქაში ფურცლისა და ყდის განახლების სტანდარტი და მეთოდი, რაც ხელნაწერთმცოდნეობაში ერთ-ერთი ღირებული ინფორმაციაა.

გამოყენებული ლიტერატურა

გაბიძაშვილი, ე. (2018) ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების კლასიფიკაცია და ბიბლიოგრაფია, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი.

დანელია, კ. სარჯველაძე, ზ. (1997). ქართული პალეოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

თავაძე, შ. ჩხიკვაძე, ნ. შათირიშვილი, ლ. (2026) გრაგნილების ინტერდისციპლინური კვლევა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

თავაძე, შ., & მეგენეიშვილი, ნ. (2023). ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევის მნიშვნელობისათვის, ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდიკოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გამომცემლობა „სამშობლო“. თბილისი.

კარანაძე, მ. (2002). ქართული წიგნის ყდის ისტორია,საქართეელოს მეცნიერებათა. აკადემია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი.

მაჭავარიანი, ე. (2008). წიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

მესხია, შ. (1949). ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხები X-XII სს. ქართულ მონასტრებში, მიმომხილველი, ტ. I, თბილისი.

მენაბდე, ლ. (1962). ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჟღენტი, ნ., დარჯანია მ. (2015). ძველი ქართული ხელნაწერის შექმნისთვის საჭირო იარაღების სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია-რეკონსტრუქცია ხელნაწერთა მინიატიურების მიხედვით, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N24, თბილისი.

ქართული პალიმფსესტები. (2017). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კატალოგი, ტექსტები, ალბომი, შეადგინეს ლ.ქაჯაია, ხ.გაფრინდაშვიოლმა, ც.გულედანმა, ნ.მიროტაძემ, დ.ჩიტუნაშვილმა, ი.ხოსიტაშვილმა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი.

ქაჯაია, ლ. (2018). პუნქტუაცია ქართულ ხელნაწერებში (V-XII სს.), თბილისი, 2018.

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა V-XIX სს. (2025). თბილისი, გვ.181.

შათირიშვილი ლ., (2010). XII საუკუნის ერთი კლარჯული თვენის შესახებ, საერთაშორისო კონფერენცია "ტაო-კლარჯეთი": მოხსენებათა თეზისები/"ტაო-კლარჯეთი", საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი.

ჩიტუნაშვილი, დ. (2019) წიგნის შექმნის ისტორია შუა საუკუნეებში (ერთი სინური ხელნაწერის -ის მაგალითზე), კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი „მრავალთავი“ 26, თბილისი.

ჭიჭინაძე, ი. თავაძე, შ. (2024). ფიგურული ინიციალები X-XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში და პრევენციული კონსერვაციის საკითხები, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2024.

ჭიჭინაძე ი., თავაძე შ., (2025). სახარება (A-946, XIII საუკუნე) - ლარგვისის სამხატვრო სკოლიდან, თბილისი, საქართველოს სიძველენი, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1949/1996). ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

H ფონდის აღწერილობა. (1950). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (H) კოლექციისა. ტ. IV. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი.

S ფონდის აღწერილობა. (1969). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. I. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი.

Fuchs R., Perament, Geschichte-Material-Konservierung-Restaurierung, Muenchen, 2001.

Fuchs, R. (1991). Der Widerspenstigen Zahmung – Pergament in Geschichte und Struktur, Historische Hilfswissenschaften, Herausgegeben von Peter Ruck, bl. 2, Pergament, Geschichte, Struktur, Restaurirung, 1991

Giovannini, Archäologie des Buches und Konservierung, *restauro 1*, 1990;

Sautel-Leroy, J.-H. (1995). Répertoire de réglures dans les manuscrits grecs sur parchemin. Base de donnees établie par J.-H. Sautel à l'aide du fichier Leroy et des catalogues récents, Bibliologia, 13, Brepols, Turnhout, 1995.

REFERENCES

Gabidzashvili, E. (2018). *Dzveli kartuli khelnatserta anderdz-minatserta klasifikatsia da bibliograpia*. Tbilisi: Korneli Kekelidzis sakhelobis Sakartvelos Khelnatserta Erovnuli Tsentri.

Danelia, K., & Sarjveladze, Z. (1997). *Kartuli paleograpia*. [Georgian Paleography]. Tbilisi: Gamomcemloba "Nekeri".

Tavadze, Sh., Chkhikvadze, N., & Shatirishvili, L. (2026). *Gragnilebis interdisiplinuri kvleva*. Tbilisi: Korneli Kekelidzis sakhelobis Sakartvelos Khelnatserta Erovnuli Tsentri.

Tavadze, Sh., & Megeneishvili, N. (2023). *Fragmen'tuli khelnat'serta k'vlevis mnishvnelobisatvis: et'rat'ze shesrulebuli fragmentuli khelnatserta kodikologiuri analizi da masalis strukturuli kvleva*. [For the importance of fragmentary manuscripts, codicological analysis of fragmentary manuscripts performed on parchment and structural research of the material].Tbilisi: Gamomcemloba "Samshoblo".

Karanadze, M. (2002). *Kartuli tsignis qdis istoria*. Tbilisi: Sakartvelos Metsnierebata Akademia, K. Kekelidzis sakhelobis Khelnatserta Instituti.

Machavariani, E. (2008). *Ts'ignis khelovneba dzvel Sakartveloshi*. Tbilisi: Gamomcemloba "Universali".

Meskhia, Sh. (1949). *Khelosnuri tsarmoebisa da shromis organizatsiis sakitkhebi X–XII ss. kartul monasterebshi*. Mimomkhilveli, I, Tbilisi.

Menabde, L. (1962). *Dzveli kartuli mts'erlobis kerebi*, I. Tbilisi: Tbilisis Universitetis Gamomcemloba.

Zhghenti, N., & Darjania, M. (2015). *Dzveli kartuli khelnatseris shekmnistvis sachiro iaraghebis samganzomilebiani vizualizatsia-rekonstruktsia khelnatserta miniatiurebis mixedvit*. Mravaltavi, N24, Tbilisi.

Kartuli palimpsestebi. (2017). Tbilisi: Korneli Kekelidzis sakhelobis Sakartvelos Khelnatserta Erovnuli Tsentri.

Kajaia, L. (2018). *Punktuatsia kartul khelnatserta shi (V–XII ss.)*. Tbilisi.

Kartuli khelnatseri memkvidreoba V–XIX ss. (2025). Tbilisi.

Shatirishvili, L. (2010). *XII saukunis erti klarjuli tvenis shesakheb*. In: Saertashoriso konferentsia "Tao-Klarjeti", Tbilisi.

Chitunashvili, D. (2019). *Ts'ignis shekmnis istoria shua saukuneebshi (erti sinuri khelnatseris magalitze)*. Mravaltavi, 26, Tbilisi.

Chichinadze, I., & Tavadze, Sh. (2024). *Figuruli initsialebi X–XIII saukuneebis kartul khelnatserta shi da preventsiuli konservatsiis sakitkhebi*. Tbilisi.

Chichinadze, I., & Tavadze, Sh. (2025). *Sakhareba (A-946, XIII saukune) – Largvissis samkhatvro skolidan*. Sakartvelos Sidzveleni, Tbilisi.

Javakhishvili, Iv. (1949/1996). *Kartuli damts'erlobatmtsodneoba anu paleograpia*: tkhzulebani tormet' t'omad, t. IX. [Georgian Paleography: Essays in Twelve Volumes. Vol. IX]. Tbilisi: gamomtsemloba "Metsniereba".

H pondis aghceriloba. (1950). *Kartul khelnatserta aghceriloba*, t. IV. Tbilisi.

S pondis aghceriloba. (1969). *Kartul khelnatserta aghceriloba*, t. I. Tbilisi.

Kartul khelnatserta aghceriloba: Sinuri kolektsia, me-2 nakveti (1979).

khelnats'erta aghts'eriloba (H) k'olektsia [Manuscript Description (H) Collection]. (1950). sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis kartul khelnats'erta aghts'eriloba (H) k'olektsia [Description of Georgian Manuscripts (H) Collection of the State Museum of Georgia]. Vol. IV.